ევროკავშირი საქართველოსთვის

ეროვნული გავლენის ფონდი

CSRDG
საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

ფოტო: სოციალური სანაძრეს "ბაბალე"

გავლენის ფონდ აქციოს

საქმიანობის ანგარიში

*ეს დოკუმენტი შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით, პროექტის „თანამშრომლობა დადებითი ცვლილებისთვის - სოციალური მეწარმეობისა და სოციალური ინვესტიციების განვითარება ეკონომიკური და სოციალური გაძლიერებისთვის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში" ფარგლებში, რომელსაც საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG) Impact Europe-თან თანამშრომლობით ახორციელებს. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია CSRDG და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

აგვისტო • 2025

Impact Europe · Brot für die Welt · MBC · Nikoloz Alavidze

სარჩევი

აქციოს შესახებ	**1**
აქციოს ინვესტორები	**2**
აქციოს პორტფელი	**3**
სოციალური საწარმო „ბაბალე“	**5**
ბიზნესის განვითარება	6
სოციალური შედეგები	7
სოციალური საწარმო „ისტორიალი“	**8**
ბიზნესის განვითარება	9
სოციალური შედეგები	10
სოციალური საწარმო „ჩემპი“	**11**
ბიზნესის განვითარება	12
სოციალური შედეგები	13
სოციალური საწარმო „ტენე“	**14**
ბიზნესის განვითარება	15
გარემოსდაცვითი და სოციალური შედეგები	16
სოციალური საწარმო „დადარი“	**17**
ბიზნესის განვითარება	18
სოციალური შედეგები	18
სოციალური საწარმო „დედიკო“	**19**
ბიზნესის განვითარება	20
სოციალური შედეგები	20

აქციოს შესახებ

გავლენის ფონდი „აქციო“ 2022 წელს დაფუძნდა **„საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ (CSRDG)** მიერ. „აქციო“ ფუნქციონირებს CSRDG-ის ქოლგის ქვეშ და არ წარმოადგენს ცალკე მდგომ იურიდიულ პირს. ოპერირების ამგვარი მოდელი „აქციოს“ შესაძლებლობას აძლევს, გამოიყენოს CSRDG-ის მიერ დაგროვებული ისეთი რესურსი, როგორიცაა ნდობა საზოგადოებასა და პარტნიორებს შორის, ადგილობრივი და საერთაშორისო კონტაქტები, ადამიანური და ადმინისტრაციული რესურსი.

„აქციო“ დაფუძნდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის **„თანამშრომლობა დადებითი ცვლილებებისთვის“** ფინანსური და ტექნიკური ხელშეწყობის შედეგად. მის განვითარებაში უმნიშვნელოვანესი როლი აქვს პროექტის წამყვან განმახორციელებელ ორგანიზაციას **„Impact Europe“**, რომელიც მნიშვნელოვან ძალისხმევას სწევს აღმოსავლეთ ევროპაში სოციალური გავლენის მქონე ინვესტირების ეკოსისტემის განვითარებისათვის.

„აქციოს” მიზანია შექმნას ხელშესახები, დადებითი სოციალური გავლენა სოციალურ საწარმოებთან, გავლენის ინვესტორებთან და პარტნიორებთან ერთად ისეთ სფეროებში, როგორებიცაა მოწყვლადი ჯგუფების შრომითი ინტეგრაცია და განათლება, გარემოს დაცვა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება.

2023-2027 წლებში „აქციოს” ამბიციური გეგმაა

მდგრადი ბიზნეს მოდელის მქონე, სულ მცირე

10 სოციალური საწარმოს **გაძლიერება**

როგორც ეკონომიკური,
ისე სოციალური და გარემოსდაცვითი გავლენის თვალსაზრისით.

ⓘ წინამდებარე ანგარიში მოიცავს „აქციოს” საქმიანობას **2023 წლის 1-ელი იანვრიდან 2025 წლის 31 ივლისის ჩათვლით**.

2024 წლის გაზაფხულზე ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ფონდებისა და სოციალური საწარმოების საქმიანობაზე. დემოკრატიული განვითარების უკუსვლა, ევროკავშირთან მოლაპარაკებების შეჩერება, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, სამოქალაქო სექტორის სტიგმატიზება, მიღებული შემზღუდველი კანონმდებლობა პირდაპირ გავლენას ახდენს სოციალური საწარმოების საქმიანობაზე როგორც ბიზნესის განვითარების, ისე სოციალური მიზნების შესრულების მიმართულებით. მიუხედავად მრავალი გამოწვევისა, საქართველოში მოქმედი სოციალური საწარმოები აგრძელებენ მუშაობას და ცდილობენ გაუმკლავდნენ მათ წინაშე არსებულ სირთულეებს. ისინი არიან უაღრესად მნიშვნელოვანი მოთამაშეები დემოკრატიული განვითარების პროცესებში და ერთი მხრივ, წვლილი შეაქვთ ქვეყნის ეკონომიკურ გაძლიერებაში, ხოლო, მეორე მხრივ, არსებით როლს თამაშობენ სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხების აქტუალიზაციასა და მოგვარებაში.

აქციოს ინვესტორები

სოციალური საწარმოების ფინანსური და ტექნიკური დახმარების შესაძლებლობას „აქციოს" ევროკავშირის დაფინანსება და ინვესტორების ფინანსური წვლილი აძლევს.

სოციალური საწარმოების დაფინანსებისთვის მობილიზებულია შემდეგი ფინანსურის რესურსი:

300 000 €
ევროკავშირი

108 000 €
გავლენის ინვესტორები

- მიკრობანკი „ემბისი"
- ნიკოლოზ ალავიძე
- Magic Foundation

9 000 €
გავლენის პარტნიორები

- ვლადიმერ საყვარელიძე

1 800 €
გავლენის მხარდამჭერები

- ქეთევან ჭითანავა
- მაია წერეთელი

მიმდინარე მდგომარეობით, **„აქციოს" მობილიზებული აქვს 7 სოციალური საწარმოს დაფინანსებისთვის საჭირო თანხა.**

418 800 €

2023-2027 წლებში დასახული მიზნების მისაღწევად, სულ მცირე, **10 სოციალური საწარმოს** მხარდასაჭერად

ჯამური საჭიროება

600 000 €

418 800 €

გავლენის ფონდის ბიუჯეტი მოიცავს სოციალური საწარმოების **დაფინანსების, ტექნიკური დახმარებისა და ადმინისტრირების ხარჯებს**.

ⓘ დარჩენილი თანხის მობილიზებისთვის „აქციო" აქტიურად აგრძელებს ინვესტორებთან კომუნიკაციას.

#აქციე ინვესტიცია გავლენად

აქციოს პორტფელი

საანგარიშო პერიოდში, გავლენის ფონდ „აქციოს“ **პორტფელს 6 სოციალური საწარმო შეუერთდა**, ესენია: **ბაბალე, ისტორიალი, ტენე, ჩემპი, დადარი და დედიკო**. მათი შერჩევა ორ ეტაპად განხორციელდა. თითოეული მათგანის შერჩევასთან დაკავშირებით, **გადაწყვეტილება საინვესტიციო კომისიამ მიიღო**.

სოციალურ საწარმოებში განხორციელებულმა პირდაპირმა ფულადმა

ინვესტიციამ შეადგინა 283 336.95 €

სოციალური საწარმოებისთვის გამოყოფილი მხარდაჭერა

სოციალური საწარმო	სულ ფინანსური მხარდაჭერა	გრანტი	0% სესხი	ათვისებული თანხა
ბაბალე	49 706.42 €	39 915 €	9 791 €	49 706.42 €
ისტორიალი	49 817.53 €	39 817 €	10 000 €	49 817.53 €
ტენე	49 990 €	40 000 €	9 900 €	49 990 €
ჩემპი	50 000 €	40 000 €	10 000 €	50 000 €
დადარი	42 223 €	37 492 €	4 731 €	42 233 €
დედიკო	41 600 €	31 600 €	10 000 €	41 600 €

სოციალურმა საწარმოებმა **„ბაბალე“**, **„ტენე“** და **„ისტორიალი“** უკვე მთლიანად დააბრუნეს სესხი, ხოლო დანარჩენი 3 სოციალური საწარმო გრაფიკის მიხედვით აბრუნებს სესხის სახით მიღებულ თანხას.

საანგარიშო პერიოდში, „აქციოს“ მხარდაჭერით, ექვსმა სამიზნე სოციალურმა საწარმომ ხელშესახები სოციალური და ეკონომიკური შედეგები აჩვენა. მათ განავითარეს წარმოება, შექმნეს სრულიად ახალი პროდუქტი და მომსახურება, ასევე, გაამრავალფეროვნეს არსებული შეთავაზებები. ბიზნეს საქმიანობის განვითარება კი მათ სოციალურ და გარემოსდაცვით შედეგებზე დადებითად აისახა.

სოციალური საწარმოების გავლენის სფეროები

„აქციოს“ პორტფელის წევრ ყველა სოციალურ საწარმოს გააჩნია მთავარი სოციალური მისია, რომელსაც დაფუძნების დღიდან ემსახურება. თუმცა, არიან სოციალური საწარმოები, რომელთა საქმიანობა დამატებით დადებით ცვლილებებს ქმნის სხვა სოციალურ თუ გარემოსდაცვით სფეროებში.

- 6-ვე საწარმო ხელს უწყობს მოწყვლადი ჯგუფების დასაქმებას და/ან განათლებას.
- 3 საწარმოსთვის განსაკუთებულ ღირებულებას წარმოადგენს ნარჩენების შემცირებისა და ეკოლოგიურად სუფთა, ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო პროდუქტის წარმოება.
- 1 საწარმო კი მთავარ მიზნად კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და პოპულარიზაციას ისახავს.

სოციალური საწარმო	შრომითი ინტეგრაცია და განათლება	გარემოს დაცვა	კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება
ბაბალე	✓	✗	✗
ისტორიალი	✓	✗	✓
ტენე	✓	✓	✗
ჩემპი	✓	✓	✗
დადარი	✓	✓	✗
დედიკო	✓	✗	✗

პორტფელის ჯამური შედეგები

- 6-მა საწარმომ განავითარა ახალი პროდუქციის ხაზ(ებ)ი და/ან მომსახურება.
- 3-მა საწარმომ დაიწყო საექსპორტო ბაზრების მოსინჯვა და გაიტანა პროდუქტი სხვადასხვა ქვეყანაში.
- 2-მა საწარმომ შექმნა პროდუქციის რეალიზაციის ახალი, საკუთარი არხი.
- 5-მა საწარმომ მეტად მრავალფეროვანი გახადა პროდუქციის გაყიდვის წერტილები და ჯამურად, პროდუქციის რეალიზების 15-ზე მეტი ახალი არხი აითვისა.
- 5-მა საწარმომ გაზარდა შემოსავალი „აქციოს" მხარდაჭერის მიღებამდე არსებულ მაჩვენებლებთან შედარებით.
- 19 ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა საწარმოებში.
- 93 ადამიანია დასაქმებული „აქციოს" პორტფელის სოციალურ საწარმოებში, მათ შორის, 45 ქალი და 26 განსაკუთრებული მხარდაჭერის საჭიროების მქონე პირი.
- 6-დან 5 საწარმო ასაქმებს სხვადასხვა განსაკუთრებული საჭიროების მქონე ადამიანს: შშმ პირებს, დევნილებს, მარტოხელა დედებს, საოკუპაციო ზოლთან მცხოვრებ ქალებს და ა.შ.
- 4 საწარმო ხელს უწყობს სხვადასხვა საჭიროების მქონე ადამიანებს ახალი პროფესიის შეძენაში. „აქციოს" მხარდაჭერის მიღების შემდეგ, საწარმოების პროფესიული გადამზადების პროგრამებში 62 ადამიანი ჩაერთო.
- 4 საწარმო მუშაობს საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიმართულებით ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა გარემოს დაცვა, შშმ პირთა უფლებები, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა, მდგრადი სოფლის მეურნეობა.
- 2 სოციალური საწარმო მუშაობს ნარჩენების გადამუშავების მიმართულებით. „აქციოსთან" პარტნიორობის დაწყების შემდეგ, მათ ჯამურად 66.5 ტონა ნარჩენი გადაამუშავეს.

#აქციე ინვესტიცია გავლენად



სოციალური საწარმო „ბაბალე“
შრომითი ინტეგრაციისა და განათლების ხელშეწყობა

სოციალური საწარმო „ბაბალე“ 2015 წელს შეიქმნა. „ბაბალეს” მისიაა დაუნის სინდრომის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა დასაქმებისა და პროფესიული უნარების განვითარების გზით.

სოციალურ საწარმოში მზადდება ხის, კერამიკისა და ტექსტილის როგორც დეკორატიული, ისე გამოყენებითი ნივთები. მასობრივი წარმოების პროდუქციიდან გამორჩეულია ბაბალეს წინდები და სამზარეულოს აქსესუარები.

„აქციოსთან” თანამშრომლობამდე „ბაბალეს” შექმნილი ჰქონდა მდგრადი ბიზნეს მოდელი, რომელიც შესაძლებლობას აძლევდა წარმოების პროცესში ჩაერთო დაუნის სინდრომის მქონე პირები და ამასთანავე, მიღებული შემოსავლით პერიოდულად დაეფინანსებინა დსმ პირებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროგრამები.

მიღწეული სტაბილური სოციალური და ეკონომიკური შედეგებიდან გამომდინარე, „ბაბალეს“ დამფუძნებლები მიიჩნევდნენ, რომ საწარმოს აქვს მასშტაბის ზრდის პოტენციალი, როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური შედეგების თვალსაზრისით. კერამიკისა და ტექსტილის წარმოების პროცესში „ბაბალე“ იყენებდა პარტნიორი კომპანიების მიერ დამზადებულ მზა მასალას (მაგ. კერამიკის ნივთები, ნაჭრის ჩანთები), რომელიც საწარმოში იხატებოდა და იფუთებოდა. „აქციოსთან“ თანამშრომლობამ კი „ბაბალეს“ სრულიად ახალი პროდუქციისა და წარმოების ადგილზე განვითარების შესაძლებლობა მისცა. საწარმოს გაფართოების შედეგად „ბაბალემ“ მოიცვა უფრო მეტი დაუნის სინდრომის მქონე ახალგაზრდა და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მათი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში.

აქციოსთან კონტრაქტის გაფორმების თარიღი

01 მაისი 2023

აქციოს ფინანსური მხარდაჭერა

- გრანტი - 49 915.42 €
- სესხი - 9 791 €

„აქციოს" ფინანსური მხარდაჭერით „ბაბალემ" გააფართოვა საქმიანობის მასშტაბი, გააუმჯობესა საწარმოს მართვის პროცესები, გაამრავალფეროვნა არსებული პროდუქტი და განავითარა სრულიად ახალი პროდუქცია და მომსახურება. შედეგად, „ბაბალეს" შემოსავლები საგრძნობლად გაიზარდა, რაც თავის მხრივ, აისახა მზარდ დადებით სოციალურ გავლენაში.

ბიზნესის განვითარება

საწარმოს განვითარების თვალსაზრისით „ბაბალემ" მნიშვნელოვანი ძალისხმევა გაიღო. კერძოდ:

- მოაწყო ორი ახალი, კერამიკისა და ტექსტილის, სახელოსნო.
- განავითარა ახალი საწარმოო ხაზები და კოლექციები. მათ შორის აღსანიშნავია წინდების ახალი კოლექცია და კერამიკის პროდუქციის 10 ხაზი.
- განავითარა ახალი ფასიანი მომსახურება, კერამიკის მასტერკლასი, რომელმაც 2000-მდე ბავშვსა და ზრდასრულს უმასპინძლა.
- დაიწყო პროდუქტის ექსპორტზე გატანის შესაძლებლობების ძიება და განავითარა კერამიკის საექსპორტო ხაზი.
- „აქციოსა" და სხვა პარტნიორების მხარდაჭერით, შემუშავდა ბიზნესის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, გაიწერა წარმოებისა და მართვის პროცესები, შემუშავდა კომუნიკაციის სტრატეგია და სხვ.

„აქციოსთან" თანამშრომლობის დაწყების შემდეგ, „ბაბალეს" შემოსავალი 2024 წელს 2022 წელთან შედარებით 48.6%-ით გაიზარდა.



სოციალური შედეგები

სოციალური შედეგების თვალსაზრისით, „ბაბალემ“ ბოლო ორი წლის მანძილზე მნიშვნელოვანი მიღწევები აჩვენა:

- „აქციოს“ მხარდაჭერის მიღების შემდეგ „ბაბალეში“ დასაქმებული ადამიანების რაოდენობა გაიზარდა 15-დან 21-მდე. მათ შორის დასაქმებული დაუნის სინდრომის მქონე ახალგაზრდების რაოდენობა 3-დან 5-მდე გაიზარდა.
- „ბაბალეს” ახალგაზრდები გაეცნენ 14 ახალ პროფესიას; მათგან 5-მა სტაჟირება სასტუმრო „ჰილტონში“ გაიარა.
- 11-მა ახალგაზრდამ მოსინჯა ახალი პროფესია, ხოლო ორმა, პროფესიულ კოლეჯში დაიწყო სწავლა.
- 2 ახალგაზრდა დასაქმდა „ბაბალეს“ გარეთ, პარტნიორ ბიზნეს კომპანიაში.
- „ბაბალემ” დაუნის სინდრომის მქონე ახალგაზრდებს სხვადასხვა განმავითარებელი პროგრამა შესთავაზა, რომელთა მონაწილეთა რაოდენობა „აქციოს” მხარდაჭერის მიღების შემდეგ 11-დან 30-მდე გაიზარდა.
- სხვადასხვა საგანმანათლებლო და მხარდამჭერი პროგრამის არსებობის მიუხედავად, „ბაბალეს” მენეჯმენტს გააზრებული ჰქონდა, რომ დსმ ახალგაზრდებისთვის დასაქმების ღირსეული შესაძლებლობების შესაქმნელად, მნიშვნელოვანი იყო მათი მხარდაჭერის სისტემური და კომპლექსური პროგრამის შემუშავება და განხორციელება. „აქციოსთან“ თანამშრომლობის შედეგად, „ბაბალემ“ შეიმუშავა დაუნის სინდრომის მქონე ახალგაზრდების „პროფორიენტაციისა და კარიერული მხარდაჭერის“ ოთხსაფეხურიანი პროგრამა. პროგრამამ შესაძლებლობა მისცა საწარმოს, რომ კომპლექსურად და გეგმაზომიერად დაეწყო ისეთი სოციალური შედეგების მიღწევისკენ სვლა, როგორებიცაა: დსმ ახალგზრდების პროფესიული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობა; დსმ ახალგაზრდების თავდაჯერებულობის ზრდა და ა.შ. **შედეგად, აღნიშნულ პროგრამაში 24 ახალგაზრდა ჩაერთო**. პროგრამის ფარგლებში ახალგაზრდები უნარებისა და შესაძლებლობების მიხედვით, გადანაწილდნენ სხვადასხვა საფეხურზე და მიიღეს საჭიროებებზე მორგებული მომსახურება, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მათი აკადემიური, პიროვნული, სოციალური და პროფესიული უნარების გაუმჯობესებაში. ამჟამად, დაუნის სინდრომის მქონე ახალგაზრდების ნაწილმა დაასრულა პროგრამა, ხოლო 11 კვლავ განაგრძობს მომსახურების მიღებას.

მიღებული ჯილდოები

2023 წელს „ბაბალემ” მნიშვნელოვანი აღიარება მოიპოვა: გახდა “თიბისი ბანკის” ბიზნეს დაჯილდოების გამარჯვებული ნომინაციაში **“გამორჩეული სოციალური პასუხისმგებლობისთვის”**.

2024 წელს „ბაბალე“ მოხვდა **Zero Project Innovation Award**-ის მოკლე სიაში, როგორც 160 გლობალურ ინიციატივას შორის ერთ-ერთი საუკეთესო, ინკლუზიური დასაქმების მოდელისა და სოციალურ პასუხისმგებლობის მქონე პროდუქტის შემქმნელი საწარმო. 2025 წელს „ბაბალე“ მიწვეულია გაეროს ოფისში, ვენაში Zero Project-ის გლობალურ კონფერენციაზე.

სოციალური საწარმო „ისტორიალი“

კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების ხელშეწყობა და განათლება

სოციალური საწარმო „ისტორიალი“ 2000 წელს დაფუძნდა. სოციალური საწარმოს მისიაა ქართული კულტურის მატერიალური და არამატერიალური მემკვიდრეობის სექტორის ეკონომიკური მდგრადობის ხელშეწყობა და პოპულარიზაცია. „ისტორიალი“ სამკაულის, დეკორატიული და სასაჩუქრე პროდუქციის შექმნით, საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობას აცნობს როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ადამიანებს.

„აქციოსთან“ თანამშრომლობამდე „ისტორიალი“ პროდუქციის ძირითად ნაწილს სხვადასხვა პარტნიორ ოსტატთან, აუთსორსზე აწარმოებდა. ამ მოდელით მუშაობა საწარმოს არ აძლევდა წარმადობის გაზრდის და ამასთან ერთად, ხარისხის შენარჩუნების შესაძლებლობას. მიუხედავად არსებული პოტენციალისა და ბაზარზე მოთხოვნისა, სახელოსნო წარმოების გაზრდის შესაძლებლობას არ იძლეოდა. ამასთანავე, „ისტორიალი“ ხედავდა სოციალური შედეგების გაზრდისა და გამრავალფეროვნების პოტენციალს. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციასთან ერთად, საწარმომ მიზნად დაისახა ლითონმქანდაკებლობის, როგორც უძველესი პროფესიის პოპულარიზაცია, შესატყვისი პრაქტიკის და საგანმანათლებლო მასტერკლასების შეთავაზებით.

აქციოსთან კონტრაქტის გაფორმების თარიღი

27 აპრილი 2023

აქციოს ფინანსური მხარდაჭერა

- გრანტი - **39 817.53 €**
- სესხი - **10 000 €**

„აქციოს“ მხარდაჭერით, „ისტორიალმა“ მოაწყო საიუველირო სახელოსნო. განახლებული სახელოსნო „ისტორიალს” შესაძლებლობას აძლევს, გაზარდოს ლითონის ნაკეთობების ადგილზე წარმოება, ხელი შეუწყოს ლითონზე მომუშავე ოსტატების პროფესიულ განათლებას და ქართული კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას.

ბიზნესის განვითარება

საწარმოს განვითარების თვალსაზრისით „ისტორიალმა“ მნიშვნელოვანი ძალისხმევა გაიღო. კერძოდ:

- გაარემონტა და აღჭურვა საიუვილერო სახელოსნო, რომელიც ამჟამად მეტი ოსტატის დასაქმებისა და ასევე, საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარების შესაძლებლობას იძლევა.
- შექმნა ორი ახალი კოლექცია „თბილისის ხაზი“ და „მამაკაცის ხაზი“.
- ახალი კოლექციების მიღმა განავითარა ორი დამატებითი პროდუქტი: ბროში - ნიკე (გამარჯვების ქალღმერთი) და სვანური ჯვარი და დაიწყო სამაგიდე აქსესუარების ახალ კოლექციაზე მუშაობა.
- შექმნა პროდუქტის ელექტრონული კატალოგი.
- შეიმუშავა კომუნიკაციის სტრატეგია და განაახლა ბრენდბუქი.
- დაიწყო პროდუქციის ექსპორტი აშშ-სა და მექსიკაში.

2025 წლის მაჩვენებლების თანახმად, „ისტორიალი“ ინარჩუნებს სტაბილურ შემოსავალს. ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურმა მოვლენებმა მნიშვნელოვნად შეაფერხა საწარმოს შემოსავლების ზრდა, თუმცა „აქციოს“ მხარდაჭერამ ხელი შეუწყო „ისტორიალს“ შეენარჩუნებინა გაყიდვების სტაბილურობა.

სოციალური შედეგები

სოციალური შედეგების თვალსაზრისით, „ისტორიალმა“ ბოლო ორი წლის მანძილზე მნიშვნელოვანი მიღწევები აჩვენა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართული, ტრადიციული, ლითონმქანდაკებლობის ხელობის შენარჩუნებისა და პოპულარიზაციის მიზნით განხორციელებული ღონისძიებები, რაც ახალგაზრდებს ამ სფეროში მეტი ცოდნისა და უნარების მიღებისა და თვითდამკვიდრების შესაძლებლობას აძლევს.

კერძოდ, „ისტორიალმა“:

- შეიმუშავა და დანერგა მოკლევადიანი და გრძელავადიანი მასტერკლასების პროგრამა.
- თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიასთან თანამშრომლობით, 18-მა სტუდენტმა „ისტორიალში” გაიარა პრაქტიკის გრძელვადიანი კურსი.
- სამხატვრო აკადემიის 6-მა სტუდენტმა საწარმოში გაიარა სტაჟირების პროგრამა.
- „ისტორიალის“ სახელოსნოში დასაქმებული ოსტატების რაოდენობა გაიზარდა 3-დან 5-მდე. დამატებით, სოციალური საწარმო აუთსორსზე თანამშრომლობს 8 ოსტატთან, რომელთაგან 4-თან პარტნიორობა „აქციოს“ მხარდაჭერის შემდეგ დაიწყო.
- „აქციოსთან“ კონტრაქტის გაფორმების შემდეგ, სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობისა და მომხმარებლების შოურუმში მასპინძლობის შედეგად, „ისტორიალმა“ 20,000-მდე ადამიანს მიაწოდა ინფორმაცია ქართული კულტურული მემკვიდრეობის, ისტორიისა და ტრადიციების შესახებ.

სოციალური საწარმო “ჩემპი”

შრომითი ინტეგრაცია და განათლება; გარემოს დაცვა

„ჩემპი“ 2016 წელს დაფუძნდა. საწარმო ზრუნავს გორის რაიონში, საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლების სოციალურ-ეკონომიკურ გაძლიერებაზე ინოვაციური ჯანსაღი სასუსნავების, ვაშლის ჩიფსების წარმოების გზით. „ჩემპი“ ხელს უწყობს, ერთი მხრივ, სოფელ დიცში და მიმდებარედ მცხოვრები ქალების დასაქმებას, ხოლო, მეორე მხრივ, ადგილობრივი პროდუქციის შესყიდვით, ფერმერული მეურნეობების განვითარებას. ამასთანავე, საწარმო აქტიურად მუშაობს უნარჩენო წარმოების განვითარების მიმართულებით, რომლის მაგალითს „ჩემპის“ გამორჩეული პროდუქტი „ცმაცი“ წარმოადგენს.

„ჩემპი“ არის სოციალური საწარმო, რომელსაც შემუშავებული აქვს ვაშლის შრობის უნიკალური მეთოდოლოგია, რაც უზრუნველყოფს ჯანსაღი და ხრაშუნა ჩიფსისა და ტყლაპის მსგავსი პროდუქტის, „ცმაცის“ წარმოებას.

„ჩემპი“ ასაქმებს სოფელ დიცში მცხოვრებ ქალებს და თანამშრომლობს დიცსა და მიმდებარედ მცხოვრებ ფერმერებთან. საწარმოს ფუნქციონირება ოკუპირებული ტერიტორიის მიმდებარედ, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკურ გაძლიერებას და დიცისა და მიმდებარე სოფლებიდან მოსახლეობის მიგრაციის შემცირებას.

დაფუძნების დღიდან „ჩემპის“ წარმოებისა და გაყიდვების მაჩვენებელი იზრდებოდა, თუმცა, ბოლო წლებში, საწარმოს წარმადობა ვეღარ აკმაყოფილებდა ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე არსებულ მოთხოვნას. წარმადობის ზრდა „ჩემპის“ განვითარების, ეკონომიკური და სოციალური შედეგების ზრდის წინაპირობად გამოიკვეთა.

აქციოსთან კონტრაქტის გაფორმების თარიღი

2 ნოემბერი 2023

აქციოს ფინანსური მხარდაჭერა

- გრანტი - **40 000 €**
- სესხი - **10 000 €**

„აქციოს“ ფინანსური მხარდაჭერით, „ჩემპიმ“ გადააიარაღა საწარმო და გაზარდა წარმადობა, რაც მის შემოსავლებსა და სოციალურ შედეგებზე საგრძნობლად აისახა.

ბიზნესის განვითარება

ბიზნესის განვითარების თვალსაზრისით „აქციოს“ მხარდაჭერამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა საწარმოს ფუნქციონირებაზე. ახლა „ჩემპის“ აქვს ბევრად მეტი რესურსი უპასუხოს ბაზარზე არსებულ მოთხოვნას და გამოიყენოს საექსპორტო შესაძლებლობები. კერძოდ, „აქციოსთან“ პარტნიორობის დაწყების შემდეგ:

- „ჩემპიმ“ გადააიარაღა სოფელ დიცში მდებარე საწარმო - შეიძინა, ააწყო და დაამონტაჟა ახალი საწარმოო დანადგარები.
- საწარმოს წარმადობა გაიზარდა 2.5-ჯერ.
- პროდუქტი გავიდა ექსპორტზე კანადაში.
- „ჩემპი“ დარეგისტრირდა აშშ-ს სურსათისა და მედიკამენდეტების ფედერალური ადმინისტრაციის პორტალზე (FDA) და ახალ პარტნიორთან თანამშრომლობით გააგზავნა პროდუქტი ამერიკის შეერთებულ შტატებში. FDA რეგისტრაცია „ჩემპის“ სძენს მეტ სანდობას აშშ-ს ბაზარზე და უხსნის სხვადასხვა დისტრიბუტორთან თანამშრომლობის ფართო შესაძლებლობებს.
- „ჩემპი” აქტიურად მუშაობს პოტენციურ პარტნიორებთან პროდუქტის ევროპის ბაზარზე გატანის მიმართულებით.
- პროდუქტის გაყიდვების წერტილების რაოდენობა საქართველოში მკვეთრად გაიზარდა. „ჩემპის“ გაყიდვების არხებს დაემატა 20 სკოლა, 2 საერთო სამუშაო სივრცე, 2 მაღაზიათა ქსელი, კაფეები და თბილისის მასშტაბით განთავსებული სავაჭრო ავტომატები.
- „ჩემპიმ“ განავითარა ახალი პროდუქტი „ვაშლის ჩიფსის ენერჯი მიქსი“, რომელიც ვაშლის ჩიფსისა და თხილეულის კომბინაციას წარმოადგენს და მზარდი პოპულარობით სარგებლობს.

„ჩემპის“ შემოსავალი 2024 წელს, 2023 წელთან შედარებით, 19.1%-ით გაიზარდა. საწარმოს მოლოდინია, რომ 2025 წელს წლიური შემოსავლის ზრდის ტენდენცია შენარჩუნდება.



სოციალური შედეგები

საწარმოს გადაიარაღებამ და წარმოების მასშტაბის ზრდამ „ჩემპის“ შესაძლებლობა მისცა უფრო მეტი დადებითი ზეგავლენა მოეხდინა საოკუპაციო გამყოფ ხაზთან მცხოვრები ადამიანების ცხოვრებაზე.

- 13-მა ადამიანმა საწარმოში გაიარა სტაჟირების პროგრამა. მათგან 4, სამი ქალი და ერთი კაცი, დასაქმდა საწარმოში.
- საწარმოში დასაქმებულების რაოდენობა 13-დან 17-მდე გაიზარდა, მათ შორის 16 ქალია და 1 კაცი.
- „აქციოსთან“ თანამშრომლობის დაწყების შემდგომ „ჩემპიმ“ პარტნიორი ადგილობრივი ფერმერების რაოდენობა 6-დან 10-მდე გაზარდა და მათგან ჯამურად 92 ტონა ვაშლი შეისყიდა.
- ჩატარდა 8 საკონსულტაციო შეხვედრა ადგილობრივ ფერმერებთან პროდუქციის ხარისხის სტანდარტებისა და მალფუჭებადი ნედლეულის გადამუშავების შესახებ.
- უნარჩენო წარმოების განვითარების მიზნით გადამუშავდა 9 ტონა ვაშლის ნარჩენი. ჯამურად, „ჩემპის“ გადამუშავებული აქვს 13.5 ტონა ვაშლის ნარჩენი.



სოციალური საწარმო "ტენე"

გარემოს დაცვა და განათლება

„ტენე“ 2021 წელს დაფუძნდა და მიზნად გარემოს პლასტმასით დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა და გარემოსდაცვით საკითხებზე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება დაისახა. „ტენე“ პირველი, ქართული, USB კაბელის ეკომეგობრული საწარმოა, რომელიც წარმოების პროცესში, ერთჯერადი მოხმარების მეორად პლასტმასას იყენებს. USB კაბელების წარმოებასთან ერთად, „ტენე“ მუდმივად მუშაობს გარემოს დაცვის ხელშემწყობი ინოვაციური პროდუქტების განვითარებაზე, როგორიცაა ჭიქების კოლექტორი, ბოთლის უკუვენდინგ აპარატი და ა.შ.

წარმოების პროცესში „ტენე” პლასტმასას ბოთლების თავსახურებს იყენებს, დანარჩენ ნედლეულს კი პარტნიორ ქარხანაში აბარებს. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში არ არის დანერგილი პლასტმასას სეპარირების, შეგროვებისა და გადამუშავების ერთიანი სახელმწიფო სისტემა, „ტენეს“ როლი გარემოსთვის მიყენებული ზიანის შემცირებაში განსაკუთრებით მაღალია.

გარემოსდაცვით შედეგებთან ერთად, „ტენე“ ხელს უწყობს მოწყვლადი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ გაძლიერებას. „ტენეს“ ქარხანა მდებარეობს წეროვნის დევნილთა დასახლებაში და ასაქმებს რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომით დაზარალებული, იძულებით გადაადგილებული პირებს.

გარემოს დაცვისა და ნარჩენების მართვის მიმართულებით ჩატარებული ცნობიერების ამაღლების კამპანიების შედეგად, პლასტმასას ჩაბარებაზე მოთხოვნა გაჩნდა არამარტო თბილისში, არამედ რეგიონებშიც, თუმცა, „ტენეს“ თბილისიდან მოშორებით, პლასტმასას შეგროვების რესურსი არ გააჩნდა. „აქციოსა“ და „ტენეს“ პარტნიორობის მთავარ მიზნად, სწორედ, პლასტმასას შეგროვების მასშტაბის ზრდა და შეგროვების მდგრადი სქემების განვითარება ჩამოყალიბდა.

აქციოსთან კონტრაქტის გაფორმების თარიღი

2 ნოემბერი 2023

აქციოს ფინანსური მხარდაჭერა

- გრანტი - **40 000 €**
- სესხი - **10 000 €**

„აქციოს“ მხარდაჭერით, „ტენემ“ გააფართოვა პლასტმასას შეგროვების არეალი და გაზარდა ნარჩენის შეგროვებისა და გადამუშავების მოდენობა, რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო USB კაბელებისა და სხვა ახალი პროდუქტების წარმოების ზრდას. ამასთანავე, „ტენე“ აქტიურად მუშაობს გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებაზე. ონლაინ და პირისპირ ჩატარებული კამპანიებითა და ღონისძიებებით, საწარმო საზოგადოებას აწოდებს ინფორმაციას ნარჩენების მართვისა და დედამიწისთვის მიყენებული ზიანის შემცირების აუცილებლობის შესახებ.

ბიზნესის განვითარება

- „აქციოს“ მხარდაჭერით, „ტენემ“ 2024 წლის პირველ ნახევარში შეისყიდა ორი ავტომობილი, 3D პრინტერი და 6 პრესის აპარატი.
- განავითარა კორპორაციული პარტნიორობები, ისეთ კომპანიებთან, როგორებიცაა: „თიბისი ბანკი“, „საქართველოს ბანკი“, „აფლელუ პარიზი“, „კასტროლ ჯორჯია“, „ედ ბლექ სი ფესტივალი“ და შესთავაზა მათ უნიკალური, სპეციალურად დამკვეთებისთვის შექმნილი პროდუქტები.
- პარტნიორობას განაგრძობს საქართველოში გამართულ ფესტივალებთან და სამიტებთან.
- განავითარა ახალი, უნიკალური პროდუქტი ტელეფონის დამტენი/საკიდი, რომელიც მზარდი პოპულარობით სარგებლობს.
- განაგრძობს კიდევ ერთი პროდუქტის, პალსტმასას „ჭიქების კოლექტორის“ პოპულარიზაციას. ამჟამად, „ტენეს“ გაყიდული აქვს 38 კოლექტორი, რომელიც უზრუნველყოფს პლასტმასას წყლის ჭიქების მარტივად შეგროვებას საოფისე სივრცეებში.
- ითანამშრომლა კომპანია „სპარკლოსთან“ ბოთლიყლაპია აპარატების პოპულარიზაციისა და პლასტმასას შეგროვების მიმართულებით.
- დაიწყო მოლაპარაკებები სხვადასხვა ბიზნეს კომპანიასთან „ბოთლიყლაპია“ აპარატების განთავსებასთან დაკავშირებით.

„ტენეს“ შემოსავალი 2024 წელს, 2023 წელთან შედარებით 28.6%-ით გაიზარდა. საწარმოს მოლოდინია, რომ 2025 წელს წლიური შემოსავლის ზრდის ტენდენცია შენარჩუნდება.



გარემოსდაცვითი და სოციალური შედეგები

„აქციოსთან“ თანამშრომლობის პერიოდში, „ტენემ“ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა პლასტმასას შეგროვების და გადამუშავების მაჩვენებლები:

- გაიხსნა „ტენეს“ ორი ახალი პლასტმასას ჩამბარებელი პუნქტი ქ. მარნეულსა და ქ. ბათუმში. შესაბამისად, წეროვნისა და თბილისის პუნქტების ჩათვლით, დღეისათვის 7 ადგილზეა შესაძლებელი პლასტმასას ჩაბარება.
- 2000-დან 8000-მდე გაიზარდა ადამიანების რაოდენობა, რომლებიც აგროვებენ და აბარებენ პლასტმასას.
- ყოველთვიურად შეგროვებული პლასტმასას რაოდენობა გაიზარდა 2-ჯერ, 4-დან 8 ტონამდე.
- შეგროვდა 155 ტონა პლასტმასა.
- „ტენეს“ ქარხანაში გადამუშავდა 2 ტონა პლასტმასა, ხოლო პარტნიორ ქარხანაში 55.5 ტონა.
- 200-დან 412-მდე გაიზარდა სკოლებსა და ორგანიზაციებში განთავსებული მწვანე ყუთების რაოდენობა, რომელთა საშუალებითაც აღნიშნული დაწესებულებები აგროვებენ პლასტმასას.
- გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 3600-მდე ადამიანმა, მათ შორის სკოლის მოსწავლეებმა და ზრდასრულებმა.
- სოციალური მედიით 600,000-ზე მეტმა ადამიანმა მიიღო ინფორმაცია გარემოზე ზრუნვის მნიშვნელობასა და შესაძლებლობებზე, ხოლო პლასტმასით დაბინძურების შესახებ ვიდეობლოგებით „ტენე“ 1 მილიონზე მეტ ადამიანს მისწვდა.
- „ტენეში“ დასაქმებულების რაოდენობა 17-დან 22-მდე გაიზარდა. მათ შორის 13 იძულებით გადაადგილებული პირია.

გარემოს ნარჩენებისგან გათავისუფლებასთან ერთად, „ტენე“ ქარხანაში დამონტაჟებული მზის პანელების საშუალებით ხელს უწყობს CO_2-ის შემცირებას. დაფუძნების დღიდან, საწარმომ 80 ტონა CO_2-ის ემისიისგან დაიცვა გარემო.

აღსანიშნავია, რომ „ტენემ“ წარმოდგენილ ეკონომიკურ, გარემოსდაცვითი და სოციალურ შედეგებს გამოწვევებით სავსე პერიოდში მიაღწია. გასულ პერიოდში განსაკუთრებული სირთულეები შეიქმნა პარტნიორ ქარხანაში პლასტმასას ჩაბარებისა და გადამუშავების მიმართულებით. მიუხედავად ამისა, „ტენე“ განაგრძობს საქმიანობას და პარტნიორობის ახალი შესაძლებლობების ძიებას.

ჯილდოები

2023 წელს „ტენემ” მნიშვნელოვანი აღიარება მოიპოვა - „თიბისი ბანკის” ბიზნეს დაჯილდოების ფარგლებში სპეციალური ჯილდო „მწვანე ინიციატივისთვის” მიიღო.

სოციალური საწარმო "დადარი"

შრომითი ინტეგრაცია და განათლება

სოციალური საწარმო "დადარი" 2018 წელს შეიქმნა. „დადარი" ზრუნავს განსხვავებული შესაძლებლობების მქონე ადამიანების, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და იძულებით გადაადგილებული პირების პროფესიულ განვითარებასა და დასაქმების ხელშეწყობაზე. „დადარი" ამზადებს ეკოლოგიურად სუფთა, ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო, ხის ხელნაკეთ სათამაშოებს, რომელთაც სიხარული მოაქვს, როგორც პატარებისთვის, ისე ზრდასრულებისთვის.

„დადარის" საწარმოები მდებარეობს თბილისსა და ზუგდიდში, ხოლო შექმნილი სათამაშოები იყიდება როგორც საქართველოს, ისე ევროპის ბაზარზე. ეკოლოგიურად სუფთა სათამაშოების მიმართ მზარდი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, „დადარს" ესაჭიროებოდა საწარმოს გადაიარაღება და გაყიდვების ახალი არხების ათვისება. ამასთანავე, სოციალურ საწარმოს ჰყავს გადამზადებული ადამიანები, რომელთა დასაქმება, საქმიანობის გაფართოების გარეშე არ იყო შესაძლებელი. „აქციოსა" და „დადარის" პარტნიორობა სწორედ ამ მიზნების გარშემო დაიწყო და მოიცავს როგორც ბიზნესის განვითარებას, ისე განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირების ეკონომიკურ გაძლიერებას.

აქციოსთან კონტრაქტის გაფორმების თარიღი

8 ნოემბერი 2024

აქციოს ფინანსური მხარდაჭერა

- გრანტი - **37 492 €**
- სესხი - **4 731 €**

ბიზნესის განვითარება

პარტნიორობის პირველივე წელს „დადარმა" მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ბიზნესის განვითარების თვალსაზრისით. კერძოდ:

- გადააიარაღა საწარმო, რაც მას წარმადობის გაზრდისა და მეტი საჭიროების მქონე ადამიანის დასაქმების შესაძლებლობას მისცემს.
- 2025 წლის 1-ელი ივნისიდან მომხმარებლებს უკვე შეუძლიათ, ესტუმრონ „დადარის" პირველ სავაჭრო კუთხეს საქართველოში და შეიძინონ უნიკალური ხელნაკეთი სათამაშოები.
- შექმნა სათამაშოების 5 ახალი პროდუქციის ხაზი და 110 უნიკალური მოდელი. მათ შორისაა მოსახატი ფიგურები, ასაწყობი და მოძრავი სათამაშოები, მაგნიტური პაზლები და სხვ.
- „დადარი" აგრძელებს თანამშრომლობას გერმანელ პარტნიორთან, რომლის მოთხოვნის საფუძველზე შეიქმნა სათამაშოს 11 ახალი მოდელი და გაიგზავნა გერმანიაში.
- „დადარმა" დაარეგისტრირა ახალი პროდუქტის ხაზი – ხის სათამაშო მანქანები, რომლის შექმნის იდეა ასევე გერმანელ პარტნიორთან ერთად გაჩნდა.
- Holzviecherl-თან, ქალი სტარტაპერების გერმანულ კომპანიასთან, გრძელვადიანი მოლაპარაკების შემდეგ, "დადარმა" გააფორმა შეთანხმება სათამაშოების საპილოტე პარტიის გაგზავნის შესახებ.
- გარდა არსებულ პარტნიორებთან მზარდი თანამშრომლობისა, „დადარი" მოლაპარაკებებს აწარმოებს ბერმუდულ და უნგრულ კომპანიებთან, რომლებთან გასაგზავნი პროტოტიპები დამუშავების პროცესშია.

„აქციოსთან" თანამშრომლობის დაწყების შემდეგ, 2025 წლის პირველ 6 თვეში „დადარის" შემოსავალმა 118,181 ლარს მიაღწია მაშინ, როცა 2024 წლის ანალოგიურ პერიოდში მიღებულმა შემოსავალმა 108,313 ლარი შეადგინა, რაც ზომიერ (9.11%), მაგრამ პოზიტიურ ზრდას ასახავს.



სოციალური შედეგები

იქიდან გამომდინარე, რომ „დადართან" კონტრაქტი 2024 წლის ბოლოს გაფორმდა, ნაადრევია ხელშესახებ სოციალურ შედეგებზე საუბარი, თუმცა აღსანიშნავია შემდეგი:

- „დადარი" ასაქმებს 12 ადამიანს, მათგან 2 „აქციოს" მხარდაჭერის მიღების შემდეგ დასაქმდა. თანამშრომლებს შორის 7 განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირია.
- წარმოებასთან ერთად, „დადარი" აგრძელებს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას ზუგდიდში მდებარე საწარმოში. 2024 წლის ნოემბრიდან - 2025 წლის მარტის პერიოდში, ხის სათამაშოების წარმოების პრაქტიკული და თეორიული ცოდნა 5-მა იძულებით გადაადგილებულმა პირმა მიიღო.

სოციალური საწარმო "დედიკო"

შრომითი ინტეგრაცია და განათლება

სოციალური საწარმო „დედიკო“ 2021 წელს დაფუძნდა ფონდ „კონსტანტანტას“ მიერ. „დედიკო” მარტოხელა დედებს და მშობლებზე მზრუნველ ქალებს ღირსეული ცხოვრების შესაძლებლობას სთავაზობს დასაქმების, ახალი პროფესიის დაუფლებისა და პიროვნული განვითარების გზით.

„დედიკოს” შექმნის იდეა კოვიდ-19 პანდემიის დაწყების შემდეგ გაჩნდა, როდესაც პანდემიის შედეგად გამოწვეული კრიზისი საზოგადოების თითქმის ყველა ფენას შეეხო, განსაკუთრებით კი სოციალურად დაუცველი ჯგუფებს. ამ კრიზისმა ორმაგად იმოქმედა მარტოხელა დედებზე, რადგან პრობლემებთან გამკლავება მეტწილად მარტო უწევდათ. „დედიკომ” მარტოხელა დედებს ახალი პროფესიის შეძენასა და დასაქმებასთან ერთად, საჭიროებებზე მორგებული სამუშო გრაფიკი და გარემო შესათავაზა. 2024 წელს „დედიკომ” გააფართოვა მიზნობრივი ჯგუფი და დაიწყო შუა ხნის ქალებზე ზრუნვა, რომლებიც ასაკოვან ან შრომისუუნარო მშობლებს უვლიან. მათ დასაქმების და შესაბამისად, შემოსავლის მიღების ძალიან მწირი არჩევანი აქვთ, მატერიალური და ფსიქოლოგიური ტვირთი კი ძალიან დიდი.

აქციოსთან კონტრაქტის გაფორმების თარიღი

12 დეკემბერი 2024

აქციოს ფინანსური მხარდაჭერა

- გრანტი - **31 600 €**
- სესხი - **10 000 €**

იმისათვის, რომ „დედიკომ“ უფრო მეტი ქალის დასაქმებასა და გაძლიერებას შეუწყოს ხელი, საწარმოს ესაჭიროებოდა პროდუქციის განვითარება და წარმადობის გაზრდა, გაყიდვების არხების გამრავალფეროვნება და აქტიური მარკეტინგული კამპანიის წარმოება. „აქციოსა“ და „დედიკოს“ პარტნიორობა სწორედ ამ მიზნების გარშემო დაიწყო.

ბიზნესის განვითარება

„აქციოს“ მხარდაჭერით „დედიკომ“:

- შეიძინა ახალი საწარმოო დანადგარები.
- შექმნა წარმოების ახალი ხაზი „მზრუნველი“ (აერთიანებს პროდუქტის 7 სახეობას), რომელიც ზრუნვას, სითბოსა და სიყვარულს ჩუქნის მომხმარებელს.
- გაყიდვების წახალისებისა და ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, განავითარა ელექტრონული კომერციის ვებსაიტი www.dediko.ge და გააქტიურა კორპორაციულ შეკვეთებზე მუშაობა.
- გააააქტიურა სოციალური მედიის არხები და ჩაუშვა გაყიდვების წამახალისებელი კამპანია.

„აქციოსთან“ თანამშრომლობის დაწყების შემდეგ, 2025 წლის პირველ 6 თვეში „დედიკოს“ შემოსავალმა 9,592 ლარი შეადგინა. იქიდან გამომდინარე, რომ პარტნიორობა ახალი დაწყებულია, აღნიშნული მაჩვენებელი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება 2024 წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემებისგან (9,345 ლარი). „დედიკოს” უკვე შექმნილი აქვს ზრდა-განვითარების წინაპირობები და აქტიურად განგრძობს ამ მიმართულებით მუშაობას .

სოციალური შედეგები

იმის გათვალისწინებით, რომ „დედიკოსთან“ კონტრაქტი 2024 წლის ბოლოს გაფორმდა, ხელშესახებ სოციალურ შედეგებზე საუბარი ნაადრევია, თუმცა, აღსანიშნავია შემდეგი:

- „დედიკო“ ასაქმებს 6 მარტოხელა დედას.
- „აქციოსთან“ პარტნიორობის დაწყების შემდეგ „დედიკომ“ გადაამზადა და დაასაქმა ერთი ქალი, ასევე, სრულ სამუშაო განაკვეთზე გადაიყვანა 1 ქალი.



#აქციე ინვესტიცია გავლენად

ფონდის მმართველი ორგანიზაცია:
საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი - CSRDG

იოველ ჯებაშვილის I გასახვევი #5,0177, თბილისი, საქართველო

+(995)32-239-90-19

office@csrdg.ge, actio.impactfund@gmail.com

https://actio.ge/, https://csrdg.ge/

https://www.facebook.com/CSRDG, https://www.facebook.com/impactfundactio